Bolt-ის საკვების მიტანის სერვისის ზოგადი წესები კლიენტთან

განახლებულია: 2023 წლის მარტი

ეს ზოგადი წესები გამოიყენება Bolt-სა და მომხმარებელს შორის ყველა იმ ურთიერთობებისას, რომელიც უკავშირდება Bolt Food Platform-ს (იხ. ქვემოთ), ასევე ნასყიდობის ხელშეკრულების გარვეულ ასპეექტებსა და მიწოდების ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია Bolt Food Platform-ის ფარგლებში (იხ. ქვემოთ). Bolt Food Platform-ზე დარეგისტრირებით, მომხმარებელი ეთანხმება ზოგადი წესების შინაარსსა და მათ გამოყენებას და ინფორმირებულია მისი იმ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, რომელიც რეგისტრაციისა და Bolt Food Platform-ით სარგებლობის ფარგლებში მიეთითა მოცემული ზოგადი დებულებების შესაბამისად. თქვენ ასევე ეთანხმებით, რომ თქვენი მონაცემები (ბალანსის ჩათვლით) შესაძლოა გაზიარდეს Bolt-ის სხვა პლატფორმებზეც (მაგ: ტრანსპორტირების პლატფორმა).

1. განმარტებები

ბალანსი	გულისხმობს მომხმარებლის პირად ანგარიშზე არსებულ ბალანსს Bolt-ს მიერ ოპერირებულ Bolt Food Platform-ზე ან/და ტრანსპორტირების პლატფორმაზე.
Bolt	Bolt Operations OÜ, რეგისტრაციის ნომერი : 14532901; მისამართი: Vana-Lõuna 15, ტალინი 10134, ესტონეთი; ელ-ფოსტა: georgia-food@bolt.eu.
Bolt Food Platform	გულისხმობს Bolt-ს მიერ ოპერირებულ მიწოდების პლატფორმას, როგორც დისტანციური მიწოდების სერვისს, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ონლაინ სავაჭრო პლატფორმა (i), რომელიც საშუალებას აძლევს პარტნიორებს გაყიდონ პროდუქტი მიწოდების სერვისის საშუალებით და პროდუქტის გაყიდვასთან დაკავშირებით შევიდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებაში კლიენტებთან, (ii) საშუალებას აძლევს მომხმარებელს განათავსოს შეკვეთა პარტნიორთან პროდუქტის თაობაზე, დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება როგორც კლიენტმა და შეათანხმოს პროდუქტის მიწოდება კურიერის მეშვეობით, (iii) საშუალებას აძლევს კურიერს პროდუქტის მისაწოდებლად კლიენტს შესთავაზოს მიწოდების სერვისი და დადოს მასთან მიწოდების ხელშეკრულება.
კლიენტი	გულისხმობს Bolt Food Platform-ის ნებისმიერ მომხმარებელს, რომელმაც განათავსა შეკვეთა და დადო ნასყიდობის ხელშეკრულება პარტნიორთან და მიწოდების ხელშეკრულება კურიერთან
კურიერი	გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ინდ.მეწარმეს ან იურიდიულ პირს და მის თანამშრომლებს ან/და კონტრაქტორებს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან Bolt Food Platform-ში, როგორც

	კლიენტისთვის მიწოდების სერვისის პროვაიდერი Bolt Food Platform-ის ფარგლებში შეკვეთილ პროდუქტზე.
კურიერის ჰონორარი	გულისმობს შეკვეთასთან დაკავშირებული მიწოდების სერვისისთვის განსაზღვრულ ჰონორარს, რომელსაც კლიენტი უხდის კურიერს მიწოდების ხელშეკრულების ფარგლებში. კურიერის ჰონორარი გამოითვლება სექცია 6-ში მოცემული პრინციპის შესაბამისად.
მიწოდების ხელშეკრულება	გულისხმობს კლიენტსა და კურიერს შორის დადებულ შეთანხმებას კლიენტის მიერ Bolt Food Platform-ის საშუალებით შეკვეთილი პროდუქტის მიწოდების თაობაზე.
მიწოდების ლოკაცია	გულისმობს შეკვეთაში მითითებულ მისამართს, სადაც კლიენტს სურს მიიღოს შეკვეთილი პროდუქტი.
ზოგადი წესები	გულისხმობს ამ წესებსა და პირობებს Bolt-სა და კლიენტს შორის ურთიერთობისას, კლიენტის მიერ Bolt Food Platform-ის გამოყენებასთან დაკავშირებით.
სავაჭრო პლატფორმა	გულისმობს Bolt Food Platform-ის ფარგლებში შექმნილ და Bolt-ის მიერ ოპერირებულ ვირტუალურ სავაჭრო პლატფორმას, რომელიც საშუალებს აძლევს მონაწილე პარტნიორებს შესთავაზონ მომხმარებელს თავიანთი პროდუქტი, ისე რომ მომხმარებელს შეეძლოს პროდუქტის შეკვეთა და შესაბამისად, როგორც კლიენტს, ნასყიდობის ხელშეკრულების დადება პარტნიორთან, და სავაჭრო პლატფორმაზე კურიერის მიერ შეთავაზებული მოთხოვნით მიწოდების სერვისის გამოყენება.
პროდუქტი	გულისმობს ნებისმიერ საქონელს, რომელსაც პარტნიორი მომხმარებელს სთავაზობს გასაყიდად Bolt Food Platform-ის ფარგლებში.
პროდუქტის ფასი	გულისხმობს სუფთა ფასს (შესაბამისი ღირებულების დამატებით, გაყიდვებს ან სხვა გადასახადებს, საჭიროების შემთხვევაში), რომელსაც კლიენტი უხდის პარტნიორს შეკვეთილი პროდუქტისთვის.
შეკვეთის მინიმალური ღირებულება	გულისხმობს Bolt Food Platform-ის მიერ განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც აწესებს პროდუქტის მინიმალურ ღირებულებას, რაზეც შძეიძლება განხორციელდეს შეკვეთა Bolt Food Platform-ის მეშვეობით.
მცირე შეკვეთის გადასახადი	გულისხმობს კლიენტის მიერ კურიერისთვის სექცია 3.3-ის შესაბამისად გადასახდელ თანხას, იმისთვის, რომ კომპენსირდეს შეკვეთის მინიმალურ

	ღირებულებასა და კონკრეტული შეკვეთის პროდუქტის ფასს შორის არსებული სხვაობა.
შეკვეთა	გულისმობს პროდუქტის შეკვეთას, რომელიც კლიენტმა პარტნიორთან განათავსა.
შეკვეთის ფასი	გულისხმობს ფასს, რომელსაც იხდის მომხმარებელი შეკვეთილი პროდუქტისა და მიწოდებისთვის
პარტნიორი	გულისხმობს ნებისმიერი რესტორნისა თუ მაღაზიის მფლობელს, რომელთანაც Bolt-ს აქვს დადებული შეთანხმება და სადაც საჭიროა, თითოეულ დაწესებულებას, რომლის მეშვეობითაც მფლობელი წარმართავს თავის ბიზნესს.
ნასყიდობის ხელშეკრულება	გულისმობს შეკვეთის შესაბამისად პროდუქტის გაყიდვასთან დაკავშირებით კლიენტსა და პარტნიორს შორის დადებულ შეთანხმებას.
მომხმარებელი	გულისხმობს ნებისმიერ პიროვნებას, რომელმაც Bolt Food Platform-ზე დაარეგისტრირა მომხმარებლის ანგარიში და ამ ანგარიშის მეშვეობით იყენებს Bolt Food Platform-ის სერვისებს.

2. სამართლებრივი ჩარჩო

2.1. Bolt Food Platform საშუალებას აძლევს კლიენტს შეუკვეტოს პროდუქტი პარტნიორებისგან და განსაზღვროს შეკვეთის მიწოდება დანიშნულ ლოკაციაზე.

2.2. Bolt Food Platform-ის ფარგლებში პროდუქტის გაყიდვისთვის დგება ნასყიდობის ხელშეკრულება უშუალოდ კლიენტსა და პარტნიორს შორის. იმ შემთხვევაში თუ პარტნიორს სურს გამოიყენოს საკუთარი მიწოდების სერვისი მომხმარებელთან პროდუქციის მისატანად, მომხმარებელი დებს ხელშეკრულებას პირდაპირ პარტნიორ ობიექტთან და პირობები, რომლებიც გამოიყენება კურიერებისთვის წინამდებარე ზოგადი პირობებით, ვრცელდება პარტნიორზე მიწოდების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. შეკვეთის მიწოდებისთვის, კლიენტი დებს მიწოდების ხელშეკრულებას უშუალოდ კურიერთან. ნასყიდობისა და მიწოდების ხელშეკრულებები დადებულად ითვლება Bolt Food Platform-ზე შეკვეთის დადასტურების მომენტიდან. შეკვეთის მიწოდების მოთხოვნა ეგზავნება კურიერს, რომელიც არის ობიექტთან ყველაზე ახლოს და შეძლებს მომხმარებლისთვის პროდუქტის ყველაზე სწრაფად მიწოდებას.

2.3. Bolt Food Platform-ისა და სავაჭრო პლატფორმის ოპერირებით, Bolt გამოდის, როგორც მხოლოდ დისტანციური მიწოდების სერვისის პროვაიდერი და არ წარმოადგენს მხარეს ნასყიდობისა და მიწოდების ხელშეკრულებებში. Bolt არ არის პროდუქტის მწარმოებელი ან

გამყიდელი, და არც მიწოდების სერვისის უზრუნველმყოფი პირი, და არანაირად არ არის პასუხისმგებელი ნასყიდობისა თუ მიწოდების ხელშეკრულების შესრულებაზე.

2.4. Bolt Food Platform-ის ოპერირებით Bolt გამოდის, როგორც პარტნიორების წარმომადგენელი, პარტნიორსა და კლიენტს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებში შუამავლობასთან დაკავშირებით. Bolt ასევე გამოდის, როგორც კურიერების წარმომადგენელი, კურიერსა და კლიენტს შორის დადებულ მიწოდების ხელშეკრულებებში შუამავლობასთან დაკავშირებით. როგორც წარმომადგენელი, Bolt უფლებამოსილია თითოეული პარტნიორისა და თითოეული კურიერის მიერ, რომ მიიღოს გადასახადები კლიენტებისგან შესაბამისი მარწმუნებლის სახელითა და დავალებით და გაანაწილოს მიღებული ფულადი სახსრები პარტნიორებსა და კურიერებს შორის.

3. პროდუქტის შეკვეთა BOLT FOOD PLATFORM-ის მეშვეობით

3.1. კლიენტს შეუძლია შეარჩიოს და შეუკვეთოს პროდუქტი Bolt Food Platform-ის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორი ვერ უზრუნველყოფს შეკვეთის შესაბამის პროდუქტს, ის არ ადასტურებს შეკვეთას Bolt Food Platform-ში. პარტნიორს შეუძლია დაუკავშირდეს კლიენტს შეკვეთაში ცვლილებების დასადასტურებლად, რათა პროდუქტის საწყისი ფასი დარჩეს უცვლელი. თუ შეთანხმება არ შედგება ან თუ კლიენტს შეცვლილი შეკვეთისთვის მოუწევს საწყისი შეკვეთის ღირებულებაზე მეტის ან ნაკლების გადახდა, შეკვეთა გაუქმდება და კლიენტს ანგარიშიდან შეკვეთის ღირებულება არ ჩამოეჭრება, ან (შესაბამის შემთხვევაში) შეკვეთის ფასი სრულად დაუბრუნდება კლიენტს.

3.2. კლიენტი უფლებამოსილია, მიიღოს პროდუქტი, რომელიც შეესაბამება Bolt Food Platform-ში მითითებულ აღწერას და ნებისმიერ სპეციალურ მოთხოვნას (თუ არსებობს ასეთზე შეთანხმება). თუ პროდუქტი მოიცავს საკვებს და თუ არსებობს ეჭვი, რომ კლიენტს შესაძლოა ქონდეს ალერგია მსგავს პროდუქტზე, კლიენტი უნდა დაუკავშირდეს პარტნიორს დამატებითი ინფორმაციისთვის.

3.3. როცა სახეზეა შეკვეთის მინიმალური ღირებულება და შეკვეთასთან დაკავშირებული პროდუქტის ფასი ნაკლებია შეკვეთის მინიმალურ ღირებულებაზე, კლიენტს შეუძლია განათავსოს შეკვეთა და Bolt Food Platform დაადასტურებს მას, იმ პირობით რომ კლიენტი მოახდენს შეკვეთის მინიმალურ ღირებულებასა და კონკრეტული შეკვეთის პროდუქტის ფასს შორის არებული სხვაობის კომპენსირებას კურიერთან, „მცირე შეკვეთის გადასახადის“ სახით.

3.4. მომხმარებლის ანგარიშის შექმნის დროს, რომელიც იძლევა წვდომას Bolt Food Platform-ზე, მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერი უკავშირდება შესაბამის Bolt-ის მომხარებლის ანგარიშს და ემატება Bolt-ის მონაცემთა ბაზაში. თუ მომხმარებელი აღარ იყენებს მითითებულ ნომერს, მან უნდა შეატყობინოს Bolt-ს 7 (შვიდი) დღის განმავლობაში, რათა მოხდეს მომხარებლის პირადი ანგარიშის მონაცემების ანონიმირება. თუ მომხმარებელი არ შეატყობინებს Bolt-ს მის ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, მობილურმა ოპერატორმა შესაძლოა იგივე ნომერი სხვა პირზე გაყიდოს და იგივე ნომრით Bolt Food Platform-ის გამოყენების შემთხვევაში, ამ პირისთვის ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებლის პირადი მონაცემები.

3.5. კლიენტმა უნდა დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა და რეგულაციები, მათ შორის, ალკოჰოლური სასმელის, თამბაქოს ნაწარმის, ენერგეტიკული სასმელის ან ნებისმიერი სხვა პროდუქტის შესაძენად დადგენილი მოთხოვნები ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როცა კლიენტს სურს შეუკვეთოს პროდუქტი, რომელიც ექვემდებარება

ასაკობრივ შეზღუდვას, მან შეკვეთის პროცედურის ერთ-ერთი ეტაპად უნდა დაადასტუროს ან/და დაამტკიცოს თავისი ასაკი. გარდა ამისა, კურიერს, რომელიც ახორციელებს შეკვეთის მიწოდებას, ან/და პარტნიორს, იმ შემთხვევაში თუ კლიენტი თავად იღებს შეკვეთას ობიექტიდან, შეუძლია უარი თქვას იმ პროდუქტის გადაცემაზე, რომელიც ექვემდებარება ასაკობრივ შეზღუდვას, თუ კლიენტი არ წარმოადგეს მოქმედ ფოტოიდენტიფიკაციის საშუალებას, იმის დასადასტურებლად, რომ მას აქვს სათანადო ასაკი პროდუქტის ლეგალურად შესაძენად.

4. მიწოდების შეკვეთა BOLT FOOD PLATFORM-ის მეშვეობით

4.1. შეკვეთის განთავსებისთანავე კლიენტმა უნდა განსაზღვროს კურიერის მიწოდების მომსახურება Bolt Food Platform-ის მეშვეობით, რათა უზრუნველყოს პროდუქტის მიწოდება მის მიერ მითითებულ ლოკაციაზე ან თუ ეს შესაძლებელია თავად გაიტანოს ობიექტიდან. კლიენტი დებს მიწოდების ხელშეკრულებას კურიერთან Bolt Food Platform-ის მეშვეობით.

4.2. კურიერს შეკვეთა მიაქვს კლიენტის მიერ Bolt Food Platform-ში მითითებულ მისამართზე. კლიენტსა და კურიერს შეუძლია შეთანხმდნენ მიწოდების სხვა ლოკაციაზე, იმ პირობით, რომ ახალი ლოკაცია საწყის ლოკაციასთან ახლოსაა (არაუმეტეს რამდენიმე კვარტლის/შენობის მოშორებით).

4.3. კლიენტი უნდა იყოს მითითებულ ადგილზე, მინიმუმ Bolt Food Platform-ში განსაზღვრულ შეკვეთის მიწოდების სავარაუდო დროს. კლიენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი Bolt Food Platform-ში მითითებულ ნომერზე სისტემაში შეკვეთის განთავსების მომენტიდან, კურიერისგან შეკვეთის ჩაბარების მომენტამდე.

4.4. Bolt-ს, კურიერის სახელით, შეუძლია გააუქმოს მიწოდება და ჩამოაჭრას თანხა კლიენტს ან შეამციროს კლიენტის ბალანსი შეკვეთის ღირებულების სრული ოდენობით შემდეგ შემთხვევებში:

4.4.1. კლიენტი არ იმყოფება შეკვეთის მიწოდების ადგილზე კურიერის მისვლიდან 10 წუთის განმავლობაში;

4.4.2. კლიენტთან დაკავშირება, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ვერ ხერხდება კურიერის მიერ 10 წუთის განმავლობაში კურიერის მიერ პროდუქციის დატოვების ადგილზე მისვლის შემდეგ; ან

4.4.3. კლიენტი და კურიერი ვერ თანხმდებიან მიწოდების ახალ ლოკაციაზე სექცია 4.2-ის შესაბამისად (იხ. ზემოთ).

4.5. კურიერის მხრიდან კლიენტისთვის ნათქვამი ან Bolt Food Platform-ით განსაზღვრული ნებისმიერი მიწოდების დრო ან სხვა დროის შეფასება არის მხოლოდ სავარაუდო დრო. არ არსებობს გარანტია, რომ პროდუქტის მიწოდება ზუსტად ამ განსაზღვრულ დროში მოხდება. შეკვეთის მიწოდების დროზე ასევვე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: საცობი, პიკის საათი და ამინდის პირობები.

4.6. იმ შემთხვევაში, როცა კლიენტი ირჩევს, თავად გაიტანოს ობიექტიდან შეკვეთა, ის უნდა მივიდეს პარტნიორის დაწესებულებაში Bolt Food Platform-ში შეკვეთის გატანის სავარაუდოდ განსაზღვრულ დროს

4.7. პარტნიორების რეიტინგი Bolt Food-ის პლატფორმაზე დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ დატოვებული შეფასებებით, მას შემდეგ რაც მომხმარებელი მიიღებს შეკვეთას ან გაიტანს თავად ობიექტიდან. მომხმარებელი უფლებამოსილია შეაფასოს პარტნიორი ობიექტი 1 (ძალიან ცუდი)-დან 5 (ძალიან კარგი) სკალით. მომხმარებელს არ შეუძლია დაუტოვოს შეფასება ან კომენტარი პარტნიორ ობიექტს თუ არ აქვს აღნიშული ობიექტიდან განთავსებული შეკვეთა Bolt Food პლატფორმაზე.

5. საჩივრები

5.1. თუ კლიენტს აქვს რაიმე საჩივარი შეკვეთილ პროდუქტთან ან პროდუქტის მიწოდებასთან დაკავშირებით, მას შეუძლია აცნობოს ამის თაობაზე Bolt-ს Bolt Food Platform-ის მეშვეობით რაც შეიძლება დროულად, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა ამ შეკვეთის მიწოდებიდან. Bolt-მა შეიძლება მოითხოვოს პროდუქტის ფოტო, სხვა მტკიცებულება ან ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებული გარემოებების შესახებ.

5.2. მიუხედავად იმისა, რომ Bolt არც პროდუქტის მწარმოებელია, არც მისი გამყიდველი, არც მიწოდების სერვისის უზრუნველმყოფი პირი, და არ არის პასუხისმგებელი შესაბამის პროდუქტსა თუ სერვისზე, Bolt ეცდება ხელი შეუწყოს ოპტიმალური გამოსავლის მოძიებას და შესაძლოა კლიენტს თანხა უკან დაუბრუნოს ან შეუვსოს ბალანსი შესაბამისი ოდენობით პროდუქტთან ან მის მიწოდებასთან დაკავშირებული საჩივრის გამო, თუ მას აქვს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ საჩივარი სამართლიანია.

5.3. კლიენტს ასევე შეუძლია უშუალოდ პარტნიორთან ან კურიერთან წარადგინოს საჩივარი.

5.4. მომხმარებელს შეუძლია დაუკავშირდეს Bolt-ის მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს მიმოწერის ფუნქციის საშუალებით Bolt Food-ის პლატფორმაზე, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს გახსნილი მიმოწერა, კომუნიკაციების ისტორია, მისი თარიღი და დრო, მიმოწერის გახსნიდან 6 თვის მანძილზე.

6. ანგარიშსწორება და ინვოისი

6.1. კლიენტი პარტნიორს უხდის პროდუქტის იმ ღირებულებას, რომელიც მითითებულია Bolt Food Platform-ზე. პროდუქტის ფასები Bolt Food Platform-ზე შესაძლოა განსხვავდებოდეს პარტნიორის დაწესებულებაში არსებული პროდუქტის ფასებისგან. პროდუქტის ფასები Bolt Food Platform-ზე შესაძლოა შეიცვალოს დროდადრო, შეკვეთის განხორციაელებამდე.

6.2. კლიენტი კურიერს უხდის კურიერის ჰონორარს Bolt Food Platform-ის მიერ გამოთვლილი ოდენობით. კურიერის ჰონორარის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება მიწოდების დრო, მიწოდების მარშრუტის სიგრძე, მიწოდების საშუალებები და სხვა კრიტერიუმები. შესაბამისი კურიერის ჰონორარი განისაზღვრება და ნაჩვენები იქნება კლიენტისთვის შეკვეთის დადასტურებამდე. კურიერის ჰონორარის გამოთვლის დეტალები შესაძლოა დარეგულირდეს დროდადრო Bolt Food Platform-ის მიერ, ბაზარზე არსებული სიტუაციის, კურიერის რესურსის, ხელმისაწვდომობის და სერვისთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კურიერის საფასური შეიძლება მოიცავდეს მომსახურების საფასურს, რათა დაიფაროს მარკეტინგული ინვესტიციების ღირებულება.

6.3. Bolt უფლებამოსილია დააწესოს შეკვეთის მინიმალური ღირებულება სექცია 3.3-ის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში კლიენტი აანაზღაურებს სხვაობას შეკვეთის ღირებულებასა

და შეკვეთის მინიმალურ ღირებულებას შორის, კურიერთან მცირე შეკვეთის გადასახადის ფორმით.

6.4. ბოლტმა, როგორც პარტნიორისა და კურიერის წარმომადგენელმა, უნდა მოამზადოს და გასცეს კლიენტზე ინფორმაციული ქვითრები პროდუქტის ფასთან დაკავშირებით პარტნიორის სახელით, კურიერის ჰონორართან და (სადაც შესაბამისია) მცირე შეკვეთის გადასახადთან დაკავშირებით - კურიერის სახელით, და მიიღოს კლიენტის გადასახადი სალარო აპარატის ქვითრებისთვის პარტნიორისა და კურიერის სახელით. Bolt უფლებამოსილია პარტნიორისა და კურიერის სახელით, კლიენტისგან მიიღოს პროდუქტის ღირებულება, კურიერის ჰონორარი და (სადაც შესაბამისია) მცირე შეკვეთის გადასახადი და გაანაწილოს თანხები შესაბამის მარწმუნებელზე.

6.5. ყველა გადახდა მუშავდება კლიენტის ბარათიდან ან კლიენტის მიერ Bolt Food Platform-ზე გააქტიურებული გადახდის სხვა მეთოდის საშუალებით, გარდა ნაღდი ანგარიშსწორებისა. გადახდები მუშავდება მესამე მხარის გადახდის პროცესორის მეშვეობით. შეკვეთის დადასტურებისთანავე კლიენტი თანხმობას აცხადებს გადახდაზე თავისი ბარათის ან სხვა მისაღები გადახდის მეთოდის საშუალებით შეკვეთის ღირებულების ოდენობით და შესაბამისი თანხა რეზერვდება ბარათზე ან გადახდის სხვა მეთოდის გამოყენებით. შეკვეთასთან დაკავშირებული გადახდა ხორციელდება კლიენტის ბარათიდან ან გადახდის სხვა მეთოდის საშუალებით შეკვეთის დადასტურებიდან 72 საათის განმავლობაში.

6.6. კლიენტის გადახდის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ნასყიდობისა და მიწოდების ხელშეკრულებებიდან, სათანადოდ უნდა შესრულდეს პარტნიორისა და კურიერის მიმართ. როდესაც Bolt-თან გადახდა განხორციელდა და თანხა ჩამოიჭრა კლიენტის საკრეტიდო ბარათიდან ან სხვა თავსებადი გადახდის მეთოდიდან (მაგ. Bolt Business), ან გარემოებებიდან გამომდინარე, როცა კლიენტმა შეკვეთის მიღებისას კურიერთან ნაღდი ანგარიშსწორებით, სრულად გადაიხადა შეკვეთის ღირებულება ან კლიენტმა სრულად გადაიხადა შეკვეთის ღირებულება უშუალოდ პარტნიორთან შეკვეთის ობიექტიდან გატანის შემთხვევაში. თუ შეკვეთის თანხის დარეზერვება ვერ ხერხდება კლიენტის საკრედიტო ბარათზე, შეკვეთა არ გადაეგზავნება პარტნიორს, გარდა ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევებისა კურიერთან - შეკვეთის მიღებისას ან პარტნიორთან - შეკვეთის ობიექტიდან გატანის შემთხვევაში.

6.7. Bolt-ს შეუძლია კლიენტს შესთავაზოს არჩევანი, რომელიც საშუალებას მისცემს კლიენტს გადაიხადოს შეკვეთის ღირებულება ნაღდი ანგარიშსწორებით კურიერთან შეკვეთის მიღებისთანავე. ასეთ შემთხვევაში, კლიენტმა უნდა გადაიხადოს შეკვეთის ღირებულება ნაღდი ანგარიშსწორებით კურიერთან შეკვეთის მიღებისას მითითებულ ლოკაციაზე. Bolt-ს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, კონკრეტულ კლიენტს შეუზღუდოს ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის შესაძლებლობა.

6.8. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში კურიერმა კლიენტისგან მიღებული თანხის რაოდენობა უნდა შეიყვანოს Bolt Food Platform-ში. თუ თანხა არ შეესაბამება ნასყიდობისა და მიწოდების ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ კლიენტის გადახდის ვალდებულებებს მაშინ ბალანსი ავტომატურად უნდა:

6.8.1. შემცირდეს შეკვეთისთვის ღირებულებაზე დაკლებული თანხის ოდენობით, ან შეკვეთის სრული ღირებულების ოდენობით (მაგ: თუ კლიენტი არ იმყოფება შეკვეთის მიღების მითითებულ ლოკაციაზე, სექცია 4.4-ის შესაბამისად, კლიენტი უარს აცხადებს თანხის გადახდაზე და სხვა);

6.8.2. გაიზარდოს შეკვეთის ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილი თანხის ოდენობით.

6.9. ბალანსი უნდა აისახოს ავტომატურად შეკვეთის განთავსებისთანავე. ბალანსი არ შეიძლება გადაიცვალოს ფულში.

6.10. Bolt-ს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, განახორციელოს შეღავათიანი შეთავაზებები და ფასდაკლებები პროდუქტის ფასთან და კურიერის ჰონორართან დაკავშირებით.

6.11. ამ ზოგად პირობებზე დათანხმებით მომხმარებელი ეთანხმება მიიღოს ელექტრონული ჩეკის ინვოისი. ელექტრონული ინვოისები გაიცემა და მიიღება ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში, მათ შორის ელექტრონული ფოსტით, PDF ფორმატში თანდართული დოკუმენტის სახით.

7. გაუქმება და სარგებლობის შეჩერება

7.1. კლიენტმა არ შეიძლება შეწყვიტოს ან გააუქმოს შეკვეთა.

7.2. Bolt უფლებამოსილია დაუყოვნებლივ ამოშალოს კლიენტი Bolt Food Platform-დან ან/და უარს იტყვის და/ან გააუქმებს რომელიმე შეკვეთას, თუ Bolt-ს აქვს საფუძვლიანი ეჭვი კლიენტის მხრიდან თაღლითობაზე Bolt Food Platform-ის გამოყენების ფარგლებში, ან თუ კლიენტი სხვაგვარად ვერ ასრულებს ამ ზოგადი წესებით განსაზღვრულ თავის ვალდებულებებს (მაგ: რამდენჯერმე არ იმყოფებოდ შეკვეთის მიღების ადგილას, სექცია 4.4-ის შესაბამისად). Bolt Food Platform-დან ამოშლა ნიშნავს ასევე ამოშლას Bolt-ის სხვა პლატფორმებიდან ამოშლას (მაგ. ride-hailing პლატფორმიდან)

7.3. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს Bolt Food Platform ფულის გათეთრების მიზნით, ასევე ნებისმიერი სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის მიზნით. თუ კლიენტი დაარღვევს ამ სექციას 7.3 Bolt მუდმივად შეუჩერებს კლიენტს Bolt Food Platform-ით სარგებლობას და აცნობებს ამის თაობაზე სამართალდამცავ ორგანოებს.

8. ლიცენზირება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და მონაცემთა დამუშავება

8.1. Bolt Food Platform-ზე დარეგისტრირებით Bolt ანიჭებს მომხმარებელს Bolt Food Platform-ის გამოყენების გაუქმებად, არექსკლუზიურ, არაგადაცემად, არასუბსიდირებად ლიცენზიას, პროდუქტის შეკვეთის და მიწოდების სერვისით სარგებლობის მიზნით.

8.2. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება, დაკავშირებული პროგრამულ უზრუნველყოფასთან, დოკუმენტაციასთან ან ინფორმაციასთან, რომელიც გამოყენებული ან შემუშავებულია Bolt-ის მიერ ან მისი დავალებით დისტანციური მიწოდების სერვისის ფარგლებში, მოცემული ზოგადი წესების შესაბამისად (მათ შორის Bolt Food Platform და მასში ატვირთული ნებისმიერი მასალა), ეკუთვნის Bolt-ს (ან ზოგიერთ შემთხვევაში, შეზღუდულ ფარგლებში, პარტნიორს). მომხარებელმა არ უნდა მოახდინოს კოპირება, არ უნდა შეცვალოს, გადააკეთოს, არ უნდა მოახდინოს „გადაკონსტრუირება“, დეკომპილირება ან სხვაგვარად მოიძიოს Bolt Food Platform-ის ან Bolt-ის მიერ გამოყენებული სხვა პროგრამის საწყისი კოდი, ამოიღოს ან გამოიყენოს Bolt Food Platform-ის ნებისმიერი მონაცემი კომერციული მიზნით ან ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა პროდუქტის შეკვეთისა. მომხმარებელმა Bolt Food Platform უნდა გამოიყენოს მხოლოდ პირადი, არაკომერციული მიზნებისთვის.

8.3. მომხმარებლებისა და კლიენტების პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები მოცემულია Bolt Food Platform-ზე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში.

8.4. Bolt არ უზრუნველყოფს არავითარ გარანტიას, თავდებობას ან წარმომადგენლობას Bolt Food Platform-ის ხარისხთან დაკავშირებით. მათ შორის, აშკარა ან ფარული დეფექტების არარსებობასთან, ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული (სპეციალური) მიზნის შესაბამისობასთან დაკავშირებით. Bolt არ არის ვალდებული დააკმაყოფილოს მომხარებლის მოთხოვნები Bolt Food Platform-ის ხარისხთან დაკავშირებით.

9. პასუხისმგებლობა

9.1. პარტნიორი ერთპიროვნულადაა პასუხისმგებელი შეკვეთილი პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეფექტისთვის ან ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ნაკლისთვის. Bolt თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას აქედან გამომდინარე (მათ შორის პასუხისმგებლობას საკვებზე ალერგიულ რეაქციაზე ან ჯანმრთელობის სხვა პრობლემაზე).

9.2. კურიერი ერთპიროვნულადაა პასუხისმგებელი მიწოდების ხელშეკრულების შესრულებაზე და Bolt თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას აქედან გამომდინარე.

9.3. თუ მომხმარებელს ეჭვი აქვს, რომ Bolt Food Platform-თან დაკავშირებული მისი საკრედიტო ბარათი მოპარულია ან/და თაღლითური გზით გამოიყენება მესამე პირის მიერ, მან ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს Bolt-ს. ასეთი შეტყობინების მიღებამდე, Bolt არ იქნება პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ მომხმარებლის საკრედიტო ბარათის თაღლითური გამოყენებისთვის მომხმარებლის პირად ანგარიშზე.

9.4. The Bolt Food Platform ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის მკაცრად განსაზღვრული „როგორც არის, გარანტიის გარეშე“ პირობის საფუძველზე. Bolt არ არის პასუხისმგებელი Bolt Food Platform-ის შეჩერებაზე, კავშირის შეცდომაზე, მიუწვდომლობაზე ან გაუმართაობაზე. თუმცა, Bolt არ ზღუდავს კლიენტის უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საშუალებები Bolt Food Platform-ის სერვისების წინამდებარე ზოგად პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში. Bolt-ს შეუძლია თავისი ერთპიროვნული შეხედულებისამებრ წარმოადგინოს ახალი ან/და გააუქმოს არსებული ფუნქციები Bolt Food Platform-ში. Bolt შეატყობინებს კლიენტებს ასეთი გაუქმებების შესახებ.

10. გარდამავალი დებულებები

10.1. კლიენტს აქვს კანონიერი უფლება გავიდეს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან 2011/83/EU დირექტივაში ჩამოთვლილ პროდუქტებთან მიმართებაში და მის შესაბამისად, შეკვეთიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში, მიზეზის დასახელების გარეშე. თუ კლიენტს სურს გავიდეს ასეთი პროდუქტის ხელშეკრულებიდან მას შეუძლია (i) გამოიყენოს ცხრილი 1-ში მოცემული ხელშეკრულებიდან გასვლის მოდელი ან (ii) Bolt-თან დაკავშირების გზით გააკეთოს ერთმნიშვნელოვანი განაცხადი გასვლის თაობაზე.

10.2. Bolt იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეცვალოს ზოგადი წესები. რისთვისაც Bolt Food Platform-ზე ტვირთავს შესწორებულ ზოგად წესებს და ამის თაობაზე ყველა მომხმარებლს, რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტაზე უგზავნის შეტყობინებას.

10.3. Bolt-ს შეუძლია ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეცვალოს ან წაშალოს Bolt Food Platform-ის სხვადასხვა ნაწილები ან შეცვალოს Bolt Food Platform, მისი მახასიათებლები და პარტნიორების არჩევანი, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ მონაწილეობენ Bolt Food Platform-ში.

10.4. მომხმარებელს შეუძლია Bolt Food Platform-ზე წვდომა მხოლოდ ინტერნეტით. ინტერნეტთან კავშირის სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები არ არსებობს, თუმცა Bolt Food Platform-ის სერვისების ხარისხზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ინტერნეტის სიჩქარემ. Bolt Food Platform ხელმისაწვდომია Android და Apple მოწყობილობებზე უახლესი პროგრამული განახლებების შესაბამისად.

10.5. Bolt Food Platform ხელმისაწვდომია მრავალ ენაზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლის პროფილიდან.

10.6. Bolt-ს შეუძლია თვალყური ადევნოს მომხმარებლის მოწყობილობის მდებარეობას Bolt Food Platform-ის მეშვეობით. შეიძლება არსებობდეს შეზღუდვები Bolt Food Platform-ის სერვისების მიწოდებაზე, მომხმარებლის მოწყობილობის მდებარეობიდან გამომდინარე. ეს შეზღუდვები აშკარაა Bolt Food Platform-ის ინტერფეისის მეშვეობით (მაგ., ხელმისაწვდომი პარტნიორები მდებარეობის მიხედვი) Bolt არ უზრუნველყოფს მომსახურებას ყველა იურისდიქციაში. ვინაიდან Bolt-ის სერვისების ხელმისაწვდომობა შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, არ არსებობს იურისდიქციების კონკრეტული სია.

10.7. Bolt უზრუნველყოფს სერვისებს, რომლებიც შექმნილია, მიწოდებულია, შეესაბამება ინდუსტრიის სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას. როგორიცაა ISO 27001/27002, როდესაც ეს შესაძლებელია და არ ეწინააღმდეგება სხვა შეთანხმებულ მოთხოვნებს.

10.8. Bolt Food Platform-ის გამოყენება და აქედან წარმოშობილი ყველა სამართლებრივი ურთიერთობა წარიმართება ესტონეთის კანონმდებლობის შესაბამისად. კლიენტი, რომელიც არის მომხმარებელი, ასევე სარგებლობს კანონის სავალდებულო დებულებების დაცვით, რომელიც გამოიყენება ამ პირობის არასრსებობის შემთხვევაში.

10.9. თუ ამ ზოგადი წესებიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტა ვერ ხერხდება მოლაპარაკებების საფუძველზე, მაშინ საქმე საბოლოოდ განსახილველად გადაეცემა ჰარჯუს ოლქის სასამართლოს ტალინში, ესტონეთი. თუ კლიენტი მომხმარებელია, სასამართლო იურისდიქცია განისაზღვრება მომხმარებლების მიამრთ მოქმედი სავალდებულო დებულებების შესაბამისად.

10.10. თუ დავა მიმდინარეობს კლიენტსა და პატრნიორს შორის, რომელიც სთავაზობს სერვისებს Bolt Food Platform-ზე, კლიენტს შეუძლია გამოიყენოს Bolt-ის უფასო, შიდა საჩივრის სისტემა.

10.11. ამ ზოგადი წესების სხვაენოვანი ვერსიების არსებობის შემთხევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე არსებულ ვერსიას.

ცხრილი 1
ხელშეკრულებიდან გასვლის მოდელი

Bolt Operations OU-ს (Vana-Lõuna 15, ტალინი 10134, ესტონეთი; georgia-food@bolt.eu)

გატყობინებთ, რომ გავდივარ ქვემოთ მოცემული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან:
შეკვეთის თარიღი: [ავსებს კლიენტი]
კლიენტის სახელი: [ავსებს კლიენტი]
კლიენტის მისამართი: [ავსებს კლიენტი]

კლიენტის ხელმოწერა (იმ შემთხვევაში, თუ ფორმა ფურცელზეა):

თარიღი: [ავსებს კლიენტი]